



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №15/48

2017 წლის 29 ივნისი

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის, საკრებულოს კომისიების, საკრებულოს აპარატის შტატგარეშე მოსამსახურეთა ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 დეკემბრის №21/181 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ვ.“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომპეტენციაა მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია ცვლილება შეიტანოს „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის, საკრებულოს კომისიების, საკრებულოს აპარატის შტატგარეშე მოსამსახურეთა ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 დეკემბრის №21/181 განკარგულებაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

მუხლი 1.

შეტანილ იქნას ცვლილება „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის, საკრებულოს კომისიების, საკრებულოს აპარატის შტატგარეშე მოსამსახურეთა ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 დეკემბრის №21/181 განკარგულებაში, კერძოდ:

ა) განკარგულების დანართი 1 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით;

ბ) განკარგულების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „მუხლი 2. განისაზღვროს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების, საკრებულოს აპარატის შტატგარეშე მოსამსახურეთა (შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები) ოდენობა -12 ერთეულით. შტატგარეშე მოსამსახურეთა (შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები) შრომის ანაზღაურება, თანამდებობის დასახელება განისაზღვროს შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად.“.

მუხლი 2.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქ ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

მუხლი 3.

განკარგულება ძალაშია 2017 წლის 1 ივლისიდან.

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი,
თავმჯდომარის მოადგილე

აკაკი დარჯანია

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა

1. აპარატის უფროსი-საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (I რანგი);
2. საორგანიზაციო განყოფილების უფროსი-საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (II რანგი);
3. საორგანიზაციო განყოფილების -საჯარო დაწესებულების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (III რანგი) ;
4. საორგანიზაციო განყოფილების -საჯარო დაწესებულების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (III რანგი);
5. საქმისწარმოების განყოფილების უფროსი-საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (II რანგი);
6. საქმისწარმოების განყოფილების -საჯარო დაწესებულების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (III რანგი);
7. საოქმო-საარქივო განყოფილების უფროსი-საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (II რანგი);
8. საოქმო-საარქივო განყოფილების -საჯარო დაწესებულების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (III რანგი);
9. საოქმო-საარქივო განყოფილების-საჯარო დაწესებულების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (III რანგი);
10. იურიდიული განყოფილების უფროსი -საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (II რანგი);
11. იურიდიული განყოფილების -საჯარო დაწესებულების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (III რანგი);
12. იურიდიული განყოფილების -საჯარო დაწესებულების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (III რანგი);
13. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი -საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (II რანგი);
14. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების - საჯარო დაწესებულების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი(ბუღალტერი) -(III რანგი);
15. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების -საჯარო დაწესებულების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (III რანგი);
16. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების -საჯარო დაწესებულების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (III რანგი).

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი,
თავმჯდომარის მოადგილე

აკაკი დარჯანია